

„თეოლოგიის განვითარებას უწყობს წმინდათა სჯობის ყოველგვარად სწავლებას...
სადა უნდა დაიწყოს, იგი ყოველგვარ სწავლებას... ყოველ
სახელმწიფო, ნების რჩეულ ქვეყანა თუ ზღვარზე
დასაწყისი, ნების-ნებისადა ანდა
დაყოფილი, რომ მიიღოს და
მეცნიერება ავიწყოს იყოს.“

სობის მოამბე

№8 * (7050)
22 აპრილი, პარასკევი * 2011
წელი. შახი 50 თეთრი



24 აპრილი - ოღვთის
მშენებელი
ფესისსნოული,
გოლოცოვი!

საქართველოს
პრეზიდენტმა
სოზო ახალი
პოსპიტალური
საგადამოფო
გახსნა




➤➤➤➤ 7

14 აპრილი-
დედაენის
ღღ
➤➤➤➤ 4-5



9 აპრილი-
ჯვარცმისა და
გაბრწყინების
ღღ
➤➤➤➤ 3



თქვენი
რჩეული
საკრებულოში
➤➤➤➤ 5

აღიღობი მოსწავლას
ვიგრილი სიხლის
მალსარიხიანი სთისლა
მასლა აგროვალევი მიხილა
➤➤➤➤ 6



ღარგე ხე, გააღამაზე
ქალაქი! ➤➤➤➤ 6

კახიანის მიღმა
ვიცხოვროთ
უფლის
სიყვარულით!
➤➤➤➤ 9



ნაწილი-უწილი
კახიანისხევა
მორიღებს
არ ნიხნავს
➤➤➤➤ 8

გოგა გერანიას
სახელოვის
გურნირი
ღასრულდა
➤➤➤➤ 10



კადრები
ღანიშენი:
ანატოლი სიხინავა-სობის მუნიცი-
პალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსად.
ნინა ბუკია-სობის მუნიციპალიტეტის
გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქ-
მეთა განყოფილების უფროსად.
ლემსო კეფულარია-სობის მუნიცი-
პალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული
სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნ-
ველყოფის განყოფილების უფროსად.



მეოცის ჩემპიონატზე
მკლავჭიღში გენადი კვიკ-
ვინიამ ყველაზე კლიერი
მოჭინაღმღმევი
ღამარცხა
➤➤➤➤ 10



გერმანიის მთავრობის „რეკონსტრუქციის“ სენატორების დეკლარაცია უკვე თბილისშია



დეკლარაციის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ბასი დახვდა. სტუმრები საქართველოს პარლამენტში სპიკერ დავით ბაქრაძესთან შესახვედრად გაემართნენ. დეკლარაციაში, რომელსაც სენატორი

ჯონ კაილი ხელმძღვანელობს, ასევე ჯეფ სეშონი (ალაბამა), მაიკლ კრაპო (აიდაჰო) და რონ ჯონსონი (ვისკონსინი) შედიან. პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ „რეკონსტრუქციის“ სენატორები სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს ეწვევიან. ამერიკელი უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან დახურულ შეხვედრას გამართავენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ კანცელარიის მეშვეობით სართულზე ერთობლივი ბრიფინგი გაიმართება. ოფიციალური ინფორმაციით, ამერიკელი სენატორების ვიზიტის მთავარ მიზანს იმის

განსაზღვრა წარმოადგენს, როგორ იმოქმედა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ რუსეთთან წამოწყებული „გადატვირთვის პოლიტიკამ“ აღმოსავლეთ ევროპაში აშშ-ის მოკავშირეების უსაფრთხოებაზე. გიგა ბოკერიას შემდეგ ამერიკელი სენატორების დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ასევე ოპოზიციის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდება. დეკლარაცია ასევე საოკუპაციო ხაზის მონახულებას გეგმავს.

„პირველი“

ნილარი კლინტონი: „აშშ იზიარებს საქართველოს პოლიტიკის რუსეთის ქმედებებთან დაკავშირებით. ეს განცხადება აშშ სახელმწიფო მდივანმა პილარი კლინტონმა ბერლინში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრისას გააკეთა.



პილარი კლინტონის თქმით, შეერთებული შტატები დაჟინებით მოუწოდებს რუსეთს შეასრულოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ჩვენ კვლავ ტკივილს ვუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, განაცხადა პილარი კლინტონმა. სახელმწიფო მდივანისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრამდე ბერლინში ნატო-საქართველოს სხდომა გაიმართა.

„პირველი“

ბაჩო ახადაია- საქართველო სომეხი ეჩის ტვირთს იზიარებს

საქართველო სომეხი ერის ტვირთს იზიარებს, - სომხური მედიის ცნობით, ამის შესახებ ერევანში ვიზიტით მყოფმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახადაიამ განაცხადა. კითხვაზე, რა უშლის ხელს საქართველოს, აღიაროს სომეხთა გენოციდი, თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო სომეხ ხალხს თანაუგრძნობს. „ჩვენ თანაუგრძნობთ მთელ სომეხ ერს და მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი ხალხი თქვენს ტვირთს იზიარებს“, - განაცხადა ახადაიამ. როგორც სომხური მედია აღნიშნავს, საქართველოს სომეხთა გენოციდი აქამდე არ უღიარებია. ცოტა ხნის წინ საქართველოში მცხოვრებმა სომეხებმა საქართველოს პარ-




ლამენტს მიმართეს თხოვნით, განიხილოს სომეხთა გენოციდის საკითხი. წერილი შესაბამისი კანონპროექტის ინიცირების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და საპარლამენტო ფრაქციებს გაუგზავნა.

„ინტერპრესნიუსი“

კანადა საქართველოს მიმართ ურყევ მხარდაჭერას ადასტურებს

კანადა საქართველოსთან ურთიერთობების ყოველმხრივი განვითარების მხარდგონას გამოთქვამს და საქართველოს მიმართ ურყევ მხარდაჭერას ადასტურებს. ამის შესახებ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში გამართულ შეხვედრებზე კანადის ელჩმა მარკ ბეილიმ განაცხადა. ელჩი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მიიღო. მხარეებმა საქართველო-კანადის ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი და თანამშრომლობის განვითარების სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა კანადის ელჩს საქართველოსა და რეგიონში არსებული ვითარების შე-

სახებ ინფორმაცია მიაწოდა და კანადის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა. მარკ ბეილიმ ცალკე შეხვედრები გამართა საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკისა და სხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, კანადის ელჩი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ენერჯეტიკის სამინისტროს,



პრემიერ-მინისტრის ოფისის და სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდა.

„პირველი“

შესაძლოა, თურქეთიდან ქართველების დაპირბაძვა დაიწყოს




თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, ათასობით ქართველი დასაქმებული. ბოლო დროს, საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი მკვლელობების გამო, თურქეთში მყოფ ქართველებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. „პრესა.ჯი“ თურქეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქე ცაცო ტაბატაძეს დაუკავშირდა.

„სამართალდამცვეები სისტემატურად გვანერგებენ ქუჩაში, ითხოვენ საბუთებს, კითხულობენ სად ვცხოვრობთ და რას ვსაქმიანობთ. ჩვენ ვგმობთ დამნაშავე ქართველებს ქმედებას. კანონდამრღვევი ქართველები, დანარჩენებსაც გვიქმნიან საფრთხეს, შესაძლოა ამის გამო სამსახურები დაგვატოვებინონ. ბოლო დროს ზოგიერთი თურქისგან, უარყოფით დამოკიდებულებასაც ვგრძნობთ“, - აცხადებს ცაცო ტაბატაძე. ტაბატაძე ამბობს, რომ მათი დამსაქმებლები განსაკუთრებული სიმკაცრით და ყურადღებით ექცევიან ქართველებს. თუ მსგავს კრიმინალურ ქმედებას, ქართველების მხრიდან კიდევ ექნება ადგილი, არ არის გამოირიცხული, ქართველების დეპორტაცია დაიწყოს. ბოლო ორ კვირაში, საქართველოს მოქალაქეებმა სამი თურქი მოკლეს. სტამბულის მახლობლად, სასტუმროს მეპატრონე და მისი მეგობარი ქალი დაცხრილეს. სასტუმრო „ბაპარის“ ადმინისტრატორისა და მისი მეგობარი ქალის, წარმოშობით უზბეკი როზა ისმაილოვას მკვლელობის მოტივი ამ დრომდე უცნობია. ქართველების ამ სამართალდამრღვევ ქმედებას წინ უსწრებდა ვანდალური ფაქტი, რომელიც საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ოჩიბელმა ჩაიდინა. სტამბულში, მან 11 წლის გერი მოკლა, რის შემდეგაც სხეული დაანაწევრა და ტყეში გადაყარა. ცნობილია, რომ აღნიშნულმა პირმა, შემთხვევის ადგილზე ყველა სამხილი გაანადგურა. ამ დროისთვის 11 წლის ბავშვის მკვლელობა დააბრუნებულა. მკვლელობიდან მეორე დღესვე თურქეთში გაისმა მოწოდება, ლინჩის წესით გასამართლდეს საქართველოს მოქალაქე, რომელმაც საზარელი მკვლელობის მომსწრე გახადა თურქეთი. თურქული მედია, საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილ ვანდალურ ფაქტებზე საუბრობს. თურქი პურნალისტები, ქართველებზე, როგორც „სამომადიანებზე“ ალაპარაკდნენ.

პრესა. გე.

გერმანიის ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა დასრულდა



ბერლინში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა დასრულდა. მონაწილეებს ალიანსის გენერალური მდივანი მიესალმა და ქართულ მხარეს გლობალური უსაფრთხოების საკითხში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა. ანდერს ფოგ რასმუსენმა ამ მიმართულებით საქართველოს როლს უმნიშვნელოვანესი უწოდა, გამოყოფა ჩვენს ქვეყანაში მიმ-

დინარე რეფორმები და ისინი დადებითად შეაფასა. ნატოს გენერალური მდივანის თქმით, სხდომის მთავარი მიზანი, ახლა საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებაა. „ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ურთიერთობა ნატოსთან ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანია, ისევე როგორც მთელს ევროატლანტიკურ სივრცესთან. საქართველო ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ალიანსთან ერთად გლობალური უსაფრთხოების მხრივ. მე მინდა გამოვიყენო შესაძლებლობა და ნატოს ყველა წევრის სახელით მადლობა გადაუხადო საქართველოს ავღანეთში ჩვენს ერთობლივ მისიაში მონაწილეობისათვის. მინდა მივუსამძიმრო ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედ-

როების ოჯახებს. შეხვედრაზე ჩვენ ნატოსა და საქართველოს ურთიერთობების პროგრესს შევაჯამებთ. ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ჩვენ ასევე ვაწარმოებთ პოლიტიკურ დიალოგს. ვთვლით, რომ ის პროგრამა, რომელიც საქართველოს დახმარებას გულისხმობს რეფორმების საკითხში, წარმატებულია. დისკუსიის ფარგლებში არამარტო უკვე განხორციელებულ ქმედებებზე ვიმსჯელებთ, ჩვენ მომავლისკენაც ვიყურებით და ვსახავთ პრიორიტეტებს“, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა. შეგახსენებთ, რომ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა ალიანსის სამიტის ფარგლებში ჩატარდა.

„პირველი“

9 აპრილი. ამ თარიღს დიდი დატვირთვა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მშვიადლობიან მომიტინგეებზე სისხლიანი აქცია განხორციელდა. 1991 წლის 9 აპრილს მიიღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომლის საფუძველზე მოხდა ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება სხვა

თი მიიღო. ამ პერიოდში კვლავ წინ წაიძლია აფხაზურმა და ოსურმა პრობლემებმა. ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას დაუპირისპირდნენ აფხაზეთში და ოსეთში არაფორმალური ექსტრემისტები. ეთნიკურ კონფლიქტებს აღვივებდა მესამე (იმპერიული) ძალა. რომლისთვისაც ეროვნული მოძრაობა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ამიტომ

ტრაგედიამ კიდევ ერთხელ უჩვენა მსოფლიოს საბჭოური სისტემის უსამართლობა, მისი დიქტატორული და დესპოტური ხასიათი.

გზა დამოუკიდებლობისაკენ

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ ქართველი ხალხი უფრო მტკიცედ შეამჭიდროვა. დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაობის დემონსტრაცია იყო 1989 წლის 26 მაისი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად იზრდებოდა დამოუკიდებელ-პოლიტიკურ პარტიათა რიცხვი. ყველა პოლიტიკური პარტიის მიზანი იყო ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა. მათი აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის

მოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს. ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 9 აპრილს დანთხულება სისხლმა მოიტანა. ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისაკენ, საღვთო სიყვარულისაკენ, საქართველოს გზა ეკლიანი გზა ქრისტესი, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა, ამ დღეს დიდი დაფიქრება გვმართებს, დიდი ურთიერთსიყვარული, ურთიერთმიტევება. 9 აპრილის მოწამეთა სისხლმა სამეფო დიდება შეჰმოსა ქართველ ერს, განაღდა და განაბრწყინა იგი მსოფლიოს ერთა შორის. ქართველმა ერმა იწამა საკუთარი ძალა, აღიარა ეროვნული იდეოლოგია...“

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1991 წლის 14 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ერთხმად

აირჩია ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვიდან მართულმა ძალებმა მოახერხეს ქვეყანაში არასტაბილური ვითარების შექმნა, ძალიან ბევრი ქვეყანა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიც აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. 1991-92 წწ. საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო სამოცამდე ქვეყანამ. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიზანს, როგორც გარდამავალ პერიოდში, ისე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, წარმოადგენდა კეთილშობილური ურთიერთობების დამყარება ყველა მოსახლვერ ქვეყანასთან, ხოლო 1991 წლის 9 აპრილის დეკლარაციის შემდეგ-ქვეყნის დე იურე აღიარებისთვის ბრძოლა. საქართველოს ძირითადი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია მიმართული იყო ხელსაყრელ პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისაკენ, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

თაა შურღია, ისტორიკოსი.



9 აპრილი-ჯვარცმისა და გაბრწყინების დღე

ქვეყნების მიერ. კაცთა სიცოცხლე წარმავალია, ხოლო სამშობლო, რომლის გულმხურვალე სიყვარულსაც ამდენი ქართველის სიცოცხლე შეეწირა-უკვდავია, მარადიულია! კაცობრიობის ისტორია სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების ისტორიაა. საქართველო თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არასოდეს ყოფილა ამოვარდნილი საერთო კალაპოტიდან. და თუ რაიმე თავმოსწონებელი გაგვანჩია ამ ქვეყნად, ეს ის დღეებია, როცა ღირსეულად ვიცავდით ჩვენს ეროვნულ ღირსებას, ჩვენს მცირედ კეთილ აღვილს ამ კვებერთალა დედამიწაზე. ჩვენ მოვალენი ვართ ღმერთის, კაცობრიობისა და მომავალი თაობების წინაშე, შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლო და თუ საჭიროა თავიც გავეწიროთ მისთვის. საქართველოს ისტორიას მის შვილთა უდიდეს თავგანწირულობასთან ერთად ახსოვს მრავალი მაგალითი ღალატისა, სულიერი სიმდაბლისა, მტერთან თანამშრომლობისა. ეს მანკიერებანი უნდა ამოიკვეთოს ქართველების ცხოვრებიდან თუ გვინდა, რომ ჩვენი ერი იმ სიმაღლეებს მიუახლოვდეს, რომელიც ნებისმიერ ერს ადამიანის საკეთილდღეოდ აძლევს სულიერი პოტენციალის გამოვლენის საშუალებას.

9 აპრილის ტრაგედიამდე

1988-89 წწ. ქართულ საზოგადოებაში თანდათან მომწიფდა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა. ყოველდღიურად მზარდ ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და სხვა ლიდერები. მათ დიდი ძალისხმევა გასწიეს ქართველი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაცნობიერებაში. დედაქალაქში ყოველდღიურად ტარდებოდა მიტინგები და დემონსტრაციები. აქციებმა მასობრივი ხასია-

მაც ცდილობდა რუსეთის იმპერია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვითარება დაეძაბა და ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა. რუსული იმპერიული ძალების კანონის შექმნა ე.წ. „ლეიხის დოკუმენტი“ 1989 წ. 18 მარტს სოფ. ლეიხში ჩატარდა აფხაზი ეროვნების რამდენიმე ათასი კაცის თავყრილობა. აქ შემუშავდა წერილი-მიმართვა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანიზაციებისადმი, სადაც ტენდენციურად იყო გაშუქებული საქართველო-აფხაზეთის ისტორიული ურთიერთობა და წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ასევე მესამე (იმპერიული) ძალის ჩართვით მწიფდებოდა ანტიქართული მოძრაობა ოსებში. აფხაზ ექსტრემისტთა სეპარატიზმს მხარი აუბეს ოსთა ექსტრემისტულმა ძალებმა. ეთნიკური დაძაბულობა განსაკუთრებით გამძაავრდა 1989 წლის აპრილში. ეს დაძაბულობა გარკვეულწილად 9 აპრილის სისხლიანი აქციის შემაპირობებელი გახდა. 1989 წლის 4 აპრილიდან თბილისში დაიწყო უსანქციო მიტინგები. ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა მთავრობის სასახლის წინ შიმშილობის აქცია წამოიწყო ეროვნული სუვერენიტეტის მოთხოვნით. ახალგაზრდების გვერდით დადგნენ მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, რეჟისორები. საზოგადოებრივ აქციებს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. მასობრივმა მოძრაობამ დიდად დააფრთხო საბჭოთა ხელმძღვანელობა, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება იძულებითი ღონისძიებებით სამხედრო ძალის გამოყენებით აღეკვეთათ მიტინგი.

მათი სამოქმედო გეგმა შეთანხმებული იყო კრემლის ხელმძღვანელობასთან. ასე მომზადდა სისხლიანი, ბარბაროსული აქცია, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე რუსთაველის პროსპექტსზე, მთავრობის სასახლის წინ განხორციელდა. 9 აპრილის ვანდალური აქციის შედეგად დაღუპა 20, დაიჭრა და მოიწამლა ათასობით ადამიანი. ამ

ტაქტიკურ ხერხებს და მეთოდებს შეეხებოდა. ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მშვიდობიანი ბრძოლის ფორმების გამოყენებით აიძულა მმართველი კომუნისტური რეჟიმი, ჩაეტარებინათ ახალი არჩევნები მრავალპარტიული სისტემით. 1990 წლის 28 ოქტომბერი-არჩევნების დღე მნიშვნელოვან თარიღად შევიდა საქართველოს უახლეს ისტორიაში, საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ ბლოკს. 1990 წლის 14 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. სესიაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია. მიუღი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო მზადება რეფერენდუმისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. საქართველოს რესპუბლიკის მთელმა მოსახლეობამ, როგორც ქართველებმა, ისე არაქართველებმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1991 წლის 9 აპრილს 12 საათსა და 30 წუთზე მიღებულიქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. სწორედ 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მოხდა სხვა ქვეყნების მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება. სიმბოლურია საქართველოს და-



კატორჯის ინიციატივა

„მოკუნოფენ ყველ მთაშენებს, ზომ მიიქცონ ყუბოფენი გამწვანების. ეს იხის ჩვენი ქანძირელობა, ჩვენი მოძიცილი თიხის ქანსილი ხსოვრები. ყუბოხევი ეძლევა ყველას, ზომ ნელინაფში 12 მიხის ხე ფიხვოს...“

ილია მეთოქ უხმინფესი ფი უნეცირესი სრულიფ სიქირიფელის კითლიფის-პიქირიბიქი


სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ ივორ ტყეხუნავას ინიციატივით მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებში სობში დაიწყო ქალაქის გამწვანების აქცია, რომელიც გაგრძელდება აპრილის ბოლომდე. აქციის მიზანია ქალაქის განაშენიანება, გამწვანება, რადგან ეს უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობის საწინდარი და ერის კულტურის მაჩვენებელია. პირველი კვირეულის ფარგლებში დარგულია 200 ნერგი. ახლა მთავა-

რიცხვმა. ჩანაწერები დაგვეხმარება გამოვავლინოთ ყველაზე მონდომებული „ბუნების ქომაგი...“

იური ბუკია-მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: -მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გამგებლის მოწოდებამ თითოეულ საჯარო მოხელეს, თითოეულ სობელს წვლილი შეეტანათ გამწვანებისა და დასუფთავების აქციაში, დადებითი შედეგი გამოიღო და

ადგილობრივ მოსახლეობას პიბრიდული სიმიინდის მაღალსაჩინისიანი სათენსლე მასალა აბროვადებში მიენოღა

საქართველოს ხელისუფლების მიერ აგრარულ პოლიტიკაში შეტანილი ინიციატივა, რომელიც კლიმატმდევეი ჯიშის სიმიინდის პოპულარიზაციას და შესაბამისად მოსავლიანობისა და ხარისხის ამაღლებას ისახავს მიზნად, სობის მუნიციპალიტეტში წარმატებულად ხორციელდება. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა პროგრამა, რომელიც ფერმერთა თესლით უზრუნველყოფის ღონისძიებებს ითვალისწინებდა. ფერმერებს მიეწოდათ სრულყოფილი ინფორმაცია სიმიინდის სახეობების შესახებ, შედგა სამუშაო შეხვედრები, სადაც ფერმერებმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან განიხილეს სიმიინდის თესვასთან, მოსავლიანობასა და ტექნიკურ-ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული საკითხები. მოსახლეობას მოთხოვნის შესაბამისად მიეწოდა დაავადებებისადმი მალალი რეზისტენტულით გამორჩეული, ხარისხიანი სათესლე მასალა, რომლის გაცემა მოხდა რწმუნებულებისა და ფიზიკურ პირებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე. აღსანიშნავია ახალი სოფლის, ძველი ხიბულის, თორისის, ხეთის და გურიფულის მო-



სახლეობის მალალი აქტივობა. გამგეობის რწმუნებულები ინფორმირებულნი არიან მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური მომსახურების ცენტრების შესახებ. რათა დაცული იქნეს აგროვადები, ასევე თესვისას მწკრივთაშორისი და რიგთაშორისი მანძილი, რაც ხელს შეუწყობს მარცვლეული კულტურის მაღალმოსავლიანობას. აგრარული პროგრამის ხელშეწყობისათვის მუნიციპალიტეტში ფერმერთა მხარდასაჭერი

ყველა სახელწიფო და შიდა პროექტები მაქსიმალურად მოქმედებს, რათა სიმიინდის პიბრიდული ჯიშის უხვი მოსავალი იქნას მიღებული. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურები მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმში არიან გადასულები, რომ ნებისმიერი პრობლემა სიმიინდის ჯიშით დაინტერესებული პირებისა, გადაჭრილიქნას. თესვის პროცესებთან დაკავშირებით ტერიტორიულ ერთეულებში სისტემატური გასვლები აქვს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

დაჩბე სე, გააღაგაზე ქალაქი!



რია მათი მოვლა და შენარჩუნება, რაც სამსახურების გარდა თითოეული სობელის ვალია.

პირველი ნაძვი მუნიციპალიტეტის გამგებელმა დარგო. მას აქტიურად შეუერთდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის სხვადასხვა სამსახურები, ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები. აქციის ფარგლებში გამგებლის ინიციატივით გამოვლინდება სამსახური, საჯარო მოხელე ან მოქალაქე, რომელიც ყველაზე დიდ წვლილს შეიტანს გამწვანების პროგრამაში.

ლექსო კემულარია-გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსი:

„ჩვენ ვინიშნავთ ტერიტორიული ერთეულებიდან შემოტანილი ნარგავების რაოდენობას. პირველ დღეს დაირგო 47 წიწვოვანი და ფოთლოვანი მცენარე. მომდევნო დღეებში იმატა კაკლის, ვერხვისა და კრიპტომერიის

ჩვენი სამსახურიც სრული შემადგენლობითა და შემართებით ამ დღეებში მათ გვერდით დგას.

კარლო ჯობავა-გამგეობის რწმუნებული ქალაქ სობში:

–იცი, ეს ერთგვარი მადლია, თან ძალიან მიხარია, რომ ჩემს ქალაქს ვალამაზებ. ძალიან მიყვარს გაზაფხული, თუნდაც იმისათვის, რომ ახალ სიცოცხლეს ეყრება საფუძველი. **მაყვალა ლომია-ქალაქის დეკორატორი:**

–მოხარულები ვართ, რომ საჯარო მოხელეები ასე აქტიურად არიან ჩართულები ამ პროექტში, რაც, ვფიქრობ, მისაბამია. 18 აპრილიდან მესამე კვირეულის ფარგლებში სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბიუჯეტიდან გამოიყო 9000 ლარი, შეძენილიქნა მარადმწვანე და დეკორატიული მცენარეები: ოლიანდრე, ტუია, ნანდინა და ფოტილია.

აქციამ სახალისო სახე მიიღო, მოხალისეებისათვის ახარტული აღმოჩნდა თუ ვინ უფ-

რო მეტ წვლილს შეიტანს ქალაქის გაღამაზების საქმეში, ამიტომაც გამგეობის სხვადასხვა სამსახურების საჯარო მოხელეები აქტიურად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ამ კეთილი და მადლიანი საქმის კეთებაში.

ნონა წურწუშია-გამგეობის აღმინისტრაციული სამსახურის უფროსი

სპეციალისტი: –გამდიდრებთ დედამიწას, რომ რაც შეიძლება მეტი უანგბადი გამოყოფს, ასევე ყველას მინდა მოუეწოდო, რომ დარგოს თუნდაც ერთი ძირი ნერგი, რომ ამით გავალამაზოთ და გავაჯანსაღოთ გარემო.

მესამე კვირეულის ფარგლებში 72 ძირი ხე-მცენარე დაირგო. აღსანიშნავია ისიც, რომ გამგებლის ინიციატივით სოფელ პირველ მაისში მშენებარე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საგაზაფხულო აქცია. აქციაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც გამგეობის საჯარო

მოხელეები, ასევე სოფლის მოსახლეობა. ფერდობზე, რომელიც მშენებარე სამონასტრო კომპლექსის გაღამაზების ეკვრის, დაირგო 500 ძირი ციტრუსის ნერგი.

გამწვანების აქციაში დაირგო სხვადასხვა სახეობის ნერგი, როგორცაა: ნაძვი, ფიჭვი, კედარი, ხე-ყვავილა, ვერხვი, კოპიტე, ნეკერჩხალი, პეკანი, პალმა, კაკალი, იასამანი,

ალუბალი, მაგნოლია, კვილო, რცხილა, ოლიანდრე, ტუია, ნანდინა, ფოტილია და სხვა. აქციის ფარგლებში დაირგო 900 ნერგი.

მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ყველა იმ აქციაში, რომელიც ქალაქს, სოფელს, გარემოს გააღამაზებს, მოუვლის და დაამშვენებს.

სალომე ძაჯანია,

გამგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.



გვწერენ

გული გაეხიზნა

ამასწინათ რედაქციაში საკმაოდ ასაკოვანი, სიმპატიური და კარგად მოსაუბრე მამაკაცი გვესტუმრა. მან გვითხრა, რომ ყველა დროსა და სიტუაციაში მთავარია გულის კარი გაუღოთ ერთმანეთს, სიტბო და სიყვარული არ მოვაკლოთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ მას, ვისაც ეს სჭირდება. ჩვენი სტუმარი ომისა და შრომის ვეტერანი, შუახორგელი ვლადიმერ ჯიქია უდიდეს მადლიერებას გამოხატავდა იმ ადამიანების მიმართ, ვინც თავის ადამიანურ მოვალეობას სამსახურებრივთან სანიმუშოდ ათავსებს. რედაქციაში მის მიერ დატოვებულ ბარათში ვკითხულობთ: „კარგ კაცობას, სხვისთვის დახმარების ხელის გაწვდენას და ადამიანური სიტბოს გამოვლენას ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში თავისი ხიბლი და ფასი აქვს. ერთ დროს საკვებ ოჯახის პატრონს არც მეუღლე შემერჩა და არც შვილები. ღრმად მოხუცი მართლმართო დაგინი, მაგრამ თურმე კეთილი ადამიანები არ დალეულან. მკითხველს მინდა ორი მათგანი გავაცნო: სოფელ შუა ხორგაში მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებული როლანდ ჯიქია და ჩვენი უზნის ტყის მცველი ემზარ კონჯარია. მათი თანადგომით და დახმარებით, რომ იტყვიან, გამოვიზამთრე, ქა-

რიშხალმაც კი ვერაფერი დამაკლო. ესენი, ორიენი, თავაზიანები, პატიოსნები და განათლებულები არიან. ამიტომაც უყვართ სოფელში, ამიტომაც აფასებენ და პატივს სცემენ. ემზარ კონჯარიას თაოსნობით მეზობლებმა შეშა დამინერხეს, დამიპეს და დამილაგეს. მათ არა მარტო სახლი, არამედ გულიც გამითბეს... ძვირფასო რედაქცია! მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ბატონ როლანდ ჯიქიას და ემზარ კონჯარიას, წალენჯიხის სატყეო სამმართველოს ხელმძღვანელებს ასეთი კადრის შერჩევისათვის. წინასწარ გისდით მადლობას.“

ვლადიმერ ჯიქია, ომისდა და შრომის ვეტერანი.

P.S. როგორც მან გვითხრა ბატონი ვლადიმერ ჯიქია ყოფილა თავის დროზე გაზეთების კორესპონდენტი ყოფილა თბილისსა და სოხუმში. გაგვანსენა ჩვენთვის ნაცნობი უფროსი ჟურნალისტები, მათთან ურთიერთობები, რამაც სული გაგვიბოლო და გაგვიღამაზა... გაზეთის რედაქცია მადლობას უხდის მას რედაქციაში მობრძანებისათვის. დიდი ხნის სიცოცხლეს გისურვებთ ვეტერანო.

მერი ლავგილაძე.

საოღანოდ დანახაულებანი



დია, რაც ქალბატონი ნარგიზა ამ პაგაბაღს ხელმძღვანელობს, არაერთხელ ვყოფილვართ მისი შემოქმედების გამზარებლები, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ დღევანდელმა დღემ მოლოდინს გადააჭარბა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბალი ახალგაზრდა კადრებით არის დაკომპლექტებული, რაც ერთიორად ზრდის იმ იდეების და ახალი ნოვაციების სორცმესხმას, რომელსაც მათ ეს ქალბატონი სთავაზობს. ბალი აქტიურადაა ჩართული პროგრამაში „ნაბიჯ-ნაბიჯ“, ამ პროგრამის ერთ-ერთი ქვეპუნქტია მშობელთა და მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა. ეს გამოფენაც სწორედ, რომ ამ პრინციპით ჩატარდა. პედაგოგები: ნატო ცხაღია, ნონა შონია, ნანა ქაშიბაძე, სოფიო ჯანჯღავა, ქეთინო აბშილავა, მაყვალა ბახტაძე, თეა ლატარია, ლალი დემნოზაშვილითხუთმეტი დღის განმავლობაში დიდი ინტერესით ბავშვებთან ერთად სა-

ბაში და ავლოდისმენბები თქვენ...

№2 საბავშვო ბაღი წითელქუდა სტუმრების მოლოდინშია, პატარა ფოიეში შესულს ზღაპრულ სამყაროში მეგონა თავი. სასიამოვნო მუსიკის ჰანგები, მასწავლებლებისა და მშობლების მიერ სახელდახელოდ შექმნილ საადგილო და საგაზაფხულო კომპოზიციებს კიდევ უფრო ალაამაზებდა. ერთი უღაოა, ამ ყველაფრის უკან დიდი შემოქმედების მქონე ხელოვანი ქალბატონი ნარგიზა ტულუში დგას. მის მიერ შექმნილი თითოეული ნივთი ხელოვნების ნიმუშია. ოცდაათი წელიწად-



ადგილო კომპოზიციებზე მუშაობდნენ. მათმა ჩანაფიქრმა მიზანს მიაღწია. გამოფენას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საბავშვო ბაღების მთავარი სპეციალისტები და აღსაზრდელთა მშობლები. სტუმრები ადფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ყველაზე დიდი ჯილო ხელოვანისათვის ტაში და აპლოდისმენტებია, თქვენ ეს ჭეშმარიტად დაიმსახურეთ, რისთვისაც მადლობას გისდით. დმერთმა ღამაში დღეები გიბოლოთ.

ნინო გერგაია

სააღგომო ნითედი ევეხცი



წმიდა მარიამ მაგდალინელმა იმპერატორ ტიბერიუსს კვერცხი მიაართვა და ადღგომა ახარა. წარმართმა ტიბერიუსმა მიუგო: მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე

მიცვალებულის ადღგომასო. ამის თქმაზე კვერცხი გაწითლდა. ნიშნად ასეთი დიდი სასწაულისა. ქრისტიანებში ტრადიციად იქცა საადღგომოდ კვერცხის წითლად შეღებვა. კვერცხებს წითელ პარასკევს დებავენ იმის მოსაგონებლად, რომ ამ დღეს ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტი. წითელი კვერცხი - ადღგომისა და სიცოცხლის სიმბოლოა, მისგან ხომ წიწილები და ბარტყები იჩეკება. წითელი ფერი კი იესო ქრისტეს წმიდა სისხლის ფერია. ადღგომის კვერცხი ნიშანია ქრისტეს წმიდა სისხლით გაწმენილი ჩვენი მარადიული ცხოვრებისა.

საცხრაპრილო მინიატურები

ცხრა აპრილს შეწირულები სიმართლისთვის მოფრიალე დროშებია. * * * ცხრა აპრილს დალუპულთა საფლავეზე ქარიც ქროლვას ანელებს. * * * ყველა პატრიოტ ქართველს გულის ფიცარზე ოქროს ასოებით აწერია იმათი სახელი და გვარი, ვინც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას სიცოცხლე შესწირა. * * * ქართველი ხალხის მწუხარების ცრემლები ცხრა აპრილს დალუპულების საფლავეს წვიმად აწვიმს... **კოლირა აბურჯანი.**

შეცდომის გასწორება
გაზეთ „სობის მოამბე“-ს 2011 წლის 31 მარტის 6-7 ნომერში, 86-5 გვერდზე, კუბლიკაციაში „ჩვენი მცირეოდენი წვლილი“ ბაიპარა შეცდომა. ხელმოწერა უნდა იკითხებოდნენ ასე: ნოზანა თათაროშვილი, აიკ პროფსინული სწავლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

მოლოცვა ნათია ძერიას და გოგა სალაყაიას




ვხარობდით სიყვარულით შექმნილი თქვენი ღამაში ოჯახით. შვილის შექენა კი ამ ოჯახის გვირგვინია. გილოცავთ პირველ დიდ სიხარულს-ვაჟიანობას. გაზაფხულით ღამაში, ტუბილი და იმედიანი ყოფილიყოს დღეიდან თქვენი ცხოვრება პატარა სანდროსთან ერთად. უთუე სიხარულსა და ღამაში ოცნებების ასრულებას გისურვებთ. იხარეთ, იბედნიერეთ!

რედაქციელები.

თამარ შარვაშიძეს

ჩემო ჯუდრაჭავ, ჩემო ფერია, გილოცავ დაბადების დღეს. წელს, 12 აპრილს 3 წლის გახდი. მრავალ დაბადების დღეს დაესწარი შენს მშობლებთან, პატარა ძმა გიორგისთან ერთად. გისურვებ ჯანმრთელობას და უთუე სიხარულს, გაიზარდე ნიჭიერი, ჭკვიანი, საქართველოს საამაყო შვილი.



ნანა ნათლია.

დამფუძნებელი: სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „სობის მოამბე“
დირექტორი **ნატო ლომია**
რედაქტორი **მანანა შულაია**
რედაქტორის მოადგილე **ნანი კილახონია**
პასუხისმგებელი მდივანი **მერი ლავგილაძე**
დამკაბადონებელი **გაზეთი ხელმძღვანელობს**
ჯულიეტა ლატარია
მის: სობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 8 (214) 2-21-13; 2-25-81; 855-119-900
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „სობის მოამბე“-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“.
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
თავისუფალი პრესის პრინციპებით